ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 5825076001**
თარიღი:**17/03/2025**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით უპირობო ელექტრონული (განმეორებით) აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადებული იქნას განმეორებით უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებებზე:

1.1 მეორადი მოხმარების (ექსპლუატაციაში ნამყოფი) ალუმინის ტალღისებური სახურავი. სისქე 0.9 მმ. (დაახლოებით 283 კვ.მ) ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს პირვანდელი საწყისი საფასურის 5660 ლარის 50% -იანი ფასდაკლებით, კერძოდ: 2830 ლარის ოდენობით „ბე“ 850 ლარით ,,ბიჯი“ 30 ლარით

1.2 მეორადი მოხმარების (ექსპლუატაციაში ნამყოფი) ალუმინის ტალღისებური სახურავი (ნაჭრები) სისქე 0.9 მმ. (დაახლოებით 77 კვ.მ) ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს პირვანდელი საწყისი საფასურის 1155 ლარის 50 %-იანი ფასდაკლებით, კერძოდ: 577.5 ლარის ოდენობით „ბე“ 173.25 ლარით ,,ბიჯი“ 30 ლარით

1.3 შერეული ჯართი (ალუმინი და შავი ლითონი (შავი ლითონის ჯართი მოიცავს თუნუქის ფურცლებს და საოფისე სკამებს) ალუმინის ჯართის წონა 50 კგ. შავი ლითონის ჯართის წონა 700 კგ. ალუმინის ჯართის ერთი კგ.ს ფასი შეადგენს 1.70 ლარს. შავი ლითონის ჯართის ერთი კგ.ს ფასი შეადგენს 20 თეთრს

ზემოაღნიშნული ჯართის წონა არის სავარაუდო. მყიდველი ვალდებულია აუქციონში გამარჯვებულად გამოვლენიდან ათი (10) კალენდარული დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მისი გადაწონვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით, რის შემდეგაც, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ქონების წონა და ჯამური ღირებულება.

საოფისე სკამები აიწონება ერთიანად , რომელსაც გამოაკლდება არალითონის მასა და

გამოანგარიშდება სკამების მხოლოდ ლითონის წონა.

აუქციონის დასრულების შემდეგ თხუტმეტი (15) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონში გამარჯვებულ პირსა და მუნიციპალიტეტს შორის, ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

ქონების სრული ღირებულების გადახდა მყიდველმა უნდა უზურნველყოს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუტმეტი) კალენდარული დღის ვადაში, გადაწოვნის შედეგად გამოვლენილი წონის შესაბამისი პროპორციით.

მყიდველი ვალდებულია ქონების აწონვა, დატვირთვა და გატანა განახორციელოს საკუთარი ხარჯებით. ამასთან, მყიდველი ვალდებული და პასუხისმგებელია შრომის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

მყიდველი ვალდებულია შეძენილი ქონების გატანა განახორციელოს, შეძენილი ქონების საბოლოო ფასის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. (ათვლა იწყება სრულად გადახდის შემდგომი სამუშაო დღიდან).

ქონების გატანის ვადების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს - ქონების სარეალიზაციო ღირებულების 0,1%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს - გადაუხდელი თანხის 0,1%-ს, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

1.4 მეორადი მოხმარების (ექსპლუატაციაში ნამყოფი) მეტალო პლასტმასის ფანჯრები, კერძოდ:

1. მეტალო პლასტმასის ფანჯრები ზომით 2.10 X 1.30 (რაოდენობა 15 ცალი)

2. მეტალო პლასტმასის ფანჯარა ზომით 2.05 X 0.90 (რაოდენობა 1 ცალი, მინის გარეშე)

3. მეტალო პლასტმასის ფანჯარა ზომით 1.26 X 1.36 (რაოდენობა 1 ცალი)

სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ფანჯრები ზომით: 2.10 X 1.30 (რაოდენობა 15 ცალი) და 1.26 X 1.36 (რაოდენობა 1 ცალი) განცალკევებულია მინისგან და იმყოფება დაშლილ მდგომარეობაში.

ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს პირვანდელი საწყისი საფასურის 4030 ლარის 50% -იანი ფასდაკლებით, კერძოდ: 2015 ლარის ოდენობით „ბე“ 604.5 ლარით ,,ბიჯი“ 20 ლარით

2. ზემოაღნიშნულ ქონებებზე აუქციონის დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვროს შემდეგნაირად: აუქციონი დაიწყოს 2025 წლის 24 იანვარს 12.00 საათზე და დასრულდეს 2025 წლის 31 იანვარს 16.00 საათზე

3. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს საუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.

სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი